ლავრენტი ჩიბურდანიძე - პროფესორი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: lavrenti-20@mail.ru
ლაშა ჩიბურდანიძე - ასოცირებული პროფესორი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: chiburdanidzelasha@sjuni.edu.ge

ადამიანური კაპიტალის და ადამიანური განვითარების საკითხისათვის საქართველოში

აბსტრაქტი

სტატიაში თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტში განხილულია მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევის ისეთი საკითხები, როგორიცაა ადამიანური კაპიტალი და ადამიანური განვითარება - ცხოვრების დონის შეფასება, ადამიანური კაპიტალის ზრდის ფაქტორები და ფაქტობრივი მდგომარეობა. ადამიანური კაპიტალის და ადამიანური განვითარების ინდექსების პარამეტრების გამოთვლის მოდელები და ინდექსების მნიშვნელობა ქვეყნების შეფასების საკითხში.

მოცემულია ადამიანური კაპიტალის არსის ისტორიული ასპექტები, ადამიანური კაპიტალის და ადამიანური ინდექსების მიხედვით

გაანალიზებული და შეფასებულია საქართველოს ადგილი მსოფლიოს ქვეყნებს შორის ადამიანური კაპიტალის და ადამიანური განვითარების ინდექსების მაჩვენებლის მიხედვით, მსოფლიო ქვეყნების და ამიერკავკასიაში მეზობელ სახელმწიფოებთან - სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარების ფონზე.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, ადამიანური განვითარება, ინდექსი, შიდა პროდუქტი.

Lavrenti Chiburdanidze - Professor
LEPL Samtskhe-Javakheti State University
The Faculty of Business Administration
e-mail: lavrenti-20@mail.ru
Lasha Chiburdanidze – Associate Professor
LEPL Samtskhe-Javakheti State University
The Faculty of Business Administration
e-mail: chiburdanidzelasha@sjuni.edu.ge

For The Problem of Development of Human Capital in Georgia

An Abstract

The article overviews the theoretical and practical aspects of the current global challenge such as human capital and human development, assessment of the living standards, the factors of growth of human capital and the actual situation, models for calculating the parameters of human capital and human development indices and the value of the indices in the assessment of countries.

It gives the historical aspects of the human capital concep in accordance to the human capital and human indices.

The position of Georgia in the world's rankings of human capital and human development indices is examined and assessed against the backdrop of global comparisons as well as those of Armenia and Azerbaijan, two Transcaucasia neighbors.

Key words: Human capital, human development, index, domestic product

შესავალი. მსოფლიოს განვითარების თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის და სტაბილური განვითარების საფუძველს და სამომავლო სტრატეგიულ მიმართულებას ადამიანური რესურსი და ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს. დღეს ყველა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის გამოწვევა ადამიანურ კაპიტალს უკავშირდება. საქართველოში ახალი საუკუნის პირველ მეოთხედში განხორციელებულმა რეფორმულმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა და მთავარი აქცენტი გააკეთებინა ადამიანის განვითარებაზე, მის კეთილდღეობის ზრუნვაზე, ჯანდაცვის უზრუნველყოფაზე, მისი ხარისხის ამაღლებაზე, ადამიანის იტელექტუალური განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნაზე. დღეს უკვე სადისკუსიო აღარ არის ის, რომ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა ,ადამიანთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება და სიმდიდრის დაგროვებაა. ეს კი მხოლოდ განათლებული პროფესიონალური პრაგმატიზმით გამოცდილი. შეძენილი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ადამიანური რესურსით მიიღწევა.

ადამიანური კაპიტალი საქართველოსთვის ახალ გამოწვევად უნდა ჩავთვალოთ. სახელმწიფომ მხარი უნდა აუბას მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს ამ გამოწვევის წარმატებით გადაწყვეტის საკითხში.

2. ადამიანური კაპიტალი წარსული აწყმო და პრაქტიკა. საქართველო თავისი ისტორიული წარსულით ,კულტურით, მეცნიერული მიღწევებით ,ქრისტიანული მრწამსით, ტერიტორიული და მოსახლეობის სიმცირის მიუხედავად თანდათან მყარ ადგილს იკავებს ევროპულ გაერთიანებაში, მთელს მსოფლიოში. დღეს როგორც არასდროს სახელმწიფო მართვის საკითხებში ძირითადი სამოქმედო ფასეულობა ადამიანური კაპიტალია.

სიტყვა ადამიანური კაპიტალი პირველად ამერიკელმა ჯეიკობ მინსერმა გმოიყენა . შემდეგ 1961 წელს თეოდორ შულცმა . იდეა ადამიანური კაპიტალის შესახებ განავითარა გერი ბეკერმა, რომელმაც დაასაბუთა კაპიტალში ინვესტიციური დაბანდების ეფექტიანობა, ჩამოაყალიბა ადამიანურ კაპიტალთან ეკონომიკური მიდგომის საფუძვლები. წინა პერიოდებში ადამიანური კაპიტალის არსზე თუმცა არა ამ სახელწოდებით მეცნიერულ კვლევებში იყო მსჯელობები და გამოთქმული მნიშვნელოვანი ჰიპოთეზები:

უფრო ადრეულ პერიოდებში:

- უილიამ პეტი თვლიდა, რომ საზოგადოების სიმდიდრე დამოკიდებულია ადამიანთა დასაქმების ხასიათზე და შრომით შესაძლებლობებზე;

- ადამ სმიტი - შრომის ნაყოფიერების ამაღლება პირველ რიგში დამოკიდებულია მუშის მოქნილობის ამაღლებასა და უნარზე. რადგან შეძენილი სასარგებლო ჩვევები ხდება საზოგადოების სიმდიდრის ნაწილი;
- ჯ. მილლი - ქვეყნის სიმდიდრის კატეგორიაში რთავდა: ხელობას, ენერგიას და მიზანსწრაფულობას.

სიტყვა ადამიანური კაპიტალის გაჩენიდან:

- გ. ბეკერი. ადამიანური კაპიტალი ფორმირდება ადამინში ინვესტიციებისაგან. ინვესტიციებში ის აუცილებლად თვლიდა: განათლებას, მომზადებას წარმოებისათვის,. ხარჯებს ჯანმრთელობის დაცვაზე და სხვ.;
- უ. ბროუნი. ადამიანური კაპიტალი შედგება შეძენილი ცოდნის, უნარის, ჩვევების, მოტივაციის და ენერგიისაგან. რომლებისგანაც შემკობილია ადამიანები და რომლებიც გამოყენებული იქნება საქონლის წარმოების და მომსახურების გაწევის მიზნით;
- ე. დ. დოპანი. ადამიანური კაპიტალი-არის კაპიტალი გონებრივი შესაძლებლობის სახით, რომელიც მიღებულია განათლების ან ცოდნის ფორმირებიდან ან პრაქტიკული გამოცდილებიდან.

თანამედროვე მიდგომით ადამიანური კაპიტალი განიხილება ორი ფართე და მიკლე გაგებით.

ფართე გაგებით ადამიანური კაპიტალი განისაზღვრება როგორც ადამიანის შესაძლებ;ობები, ცოდნა, უნარი. ჩვევა. ინტელექტი და ჯანმრთელობა. გამოყენებული საწარმოო პროცესში. კერძოდ პირადი, ოჯახის, კორპორაციის და მთლიანად ქვეყნისათვის გაზრდილი შემოსავლის მისაღებად.

ადამიანური კაპიტალი მოკლე გაგებით არის ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი. ინტელექტი. ცოდნა, ნაყოფიერი და ხარისხიანი შრომა.

ეკონომიკაში ადამიანური კაპიტალის შემდეგ სახეებს გამოყოფენ:

- ეროვნული / ნაციონალური/ ადამიანური კაპიტალი;
- კორპორაციული /ორგანოზაციის/ ადამიანურიკაპიტალი;
- ინდივიდუალური /პირადი/ ადამიანური კაპიტალი.

ეროვნული ადამიანური კაპიტალი-არის ეროვნული სიმდიდრის ნაწილი. რომელიც მოიცავს ქვეყნის მთელი მოსახლეობის ინტელექტუალურ, შრომით შესაძლებლობებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში.

კორპორაციული ადამიანური კაპიტალი-არის კორპორაციის /ფირმის, დაწესებულების/ საქმიანობაში მონაწილე პერსონალის ცოდნის. უნარის, ინტელექტის, პროფესიული შესაძლებლობების , ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა მიმართულს საქმიანობაში უმაღლესი შედეგების მისაღწევად.

ინდივიდუალური ადამიანური კაპიტალი წარმოადგეს ცალკეული პირის ცოდნას, უნარს, ჯანმრთელობას და შესაძლებლობას , რაც საბოლოო ჯამში ზემოქმედებს მისი შემოსავლების და ცხოვრების დონეზე.

ქვეყნის მმართველობითი მიზნებისთვის ძალზე მნიშვნელობას იძენს ადამიანური კაპიტალის განსაზღვრა იდუსტრიების მიხედვით. ამ მაჩვენებლებით შეიძლება დავახასიათოთ ქვეყნის ინდუსტრიულ განაჭერში ადამიანური კაპიტალით უზრუნველყოფის პროპორციები და დისპროპორციები. ეს კი საშუალებას იძლევა ინვესტიციბის დაგეგმვის სწორი პროპორციების გასაზღვრაში.

3. ადამიანური კაპიტალის განმსაზღვრელი ფაქტორები და მათი გამოწვევები საქართველოში. ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს შემდეგი ძირითადი მდგენელების თავისებურ ჯამს ესენია; განათლების, ჯანდაცვის და კულტურის კაპიტალები.

ადამიანის განათლების კაპიტალი არის მისი სამომავლო დასაქმების- შრომის საფუძველი. იერარქიულად რთულ შრომას ესაჭიროება კვალიფიკაციის კუთხით მეტი მოთხოვნები, მეტი ცოდნა, გამოცდოლება და მუსაკის პასუხისმგებლობა. კვალიფიციური შრომა შედარებით სხვასთან გათვლებით 2-3 ჯერ მეტად ანაზღაურდება.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა ადამიანურ კაპიტალში საკუთრივ განათლებულობასთან შედარებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული საგანმანათლებლო ინსტიტუტებიდან შეძენილი პროფესიული და ინტელექტუალური ცოდნა.

ჯანმრთელობის კაპიტალი წარმოადგენს ინვესტიციებს ადამიანში მის სასიცოცხლო პერიოდში ჯანმრთელობის და შრომიუნარიანობის შენარჩუნების მიზნით. ინვესტიციები ჯანმრთელობაში, ჯანმრთელობის დაცვა, დაავადებათა გამო ნაადრევი სიკვდიიანობის შემცირება და მრავალი დაავადების პრევენცია განმსაზღვრელი პირობაა ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში.

კულტურის კაპიტალი წარმოადგენს ადამიანის გონებაში ინტელექტუალური, შემოქმედებით საქმიანობას რაც თავისთავად ზრდის საერთო საქმიანობის საბოლოო შედეგს.

ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტორი მიმართული უნდა იყოს ადამიანისკენ, შრომითი რესურსებისკენ, მუშა ძალის კვლავწარმოების პირობებში.

ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემების დინამიკა.

მაჩვენებლები	2015	2020	2021	2021 %-ში 2015 თან	2021 %-ში 2020 თან
მოსახლეობა წლის ბოლოს ათასი კაც.	3721,9	3716,9	3729,6	100,2	100,3
შობადობის კოეფიციენტი	15,9	12,5	12,4	77,9	99,2
სიცოხლის საშუალო ხანგრძლივობა	73,0	73,4	71,4	97,8	97,3
ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის რიცხვი	8,6	7,9	9,0	105	114

მონაცემთა წყარო. საქსტატი. სტატისტიკური წელიწდეული. 2015წ. 2020წ. 2021 წ.

ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა რომ:

- განხილულ პერიოდში შობადობის კოეფიციენტი მოსახლეობის რიცხვის ზრდის საწინააღმდეგოდ შემცირდა. შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.
- ძალზე ცუდ მაჩვენებლად უნდა ჩავთვალოთ ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის ზრდა.

ცხრილი 2. სწავლით დაკავებულ მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა. /ათასი კაცი/.

განაწილება სასწალო დაწესებულებში	2015	2020	2021	2021 წელი %%-ში 2015 წ-თან	2021 წელი %%-ში 2020წ.
ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში	553,9	609,1	624,5	112,8	102,5
პროფესიულ სასწავლებლებში	16,8	9,4	8,9	52,9	94,7
უმაღლეს საგან. დაწესებულებში/ბაკალავრიატი/	106,4	111,9	116,1	109,1	103,7
სულ მოსწავლეთა რიცხვი	677,1	730,3	749,5	110,7	102,6

პროცენტულად მთლიან მოსალეობასთან	18,1	19,6	20,0		

მონაცემთა წყარო:საქსტატი. სტატისტიკური წელიწდეული-2015წ.2020წ.2021წ.

ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა რომ:

- საანალიზო პერიოდში გაიზარდა განათლების მსურველთა საერთო რაოდენობა. ზრდის ტემპმა შეადგინა 10,7 პროცენტი.
- ზრდა ფიქსირდება საშულო სკოლის და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა რიცხვის მხრივ.
- შემცირდა პროფესიული განათლების მოსწავლეთა რიცხვი.
- მოსახლეობის მთლიან რიცხვში სწავლის მსურველთა ზრდის ტენდენცია ადამიანური კაპიტალის ფორმირებისთვის კარგ ბაზად მიგვაჩნია.

ნებისმიერი სახელმწიფოს სტრატეგია მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის ცხოვრების კეთილდღეობის ამაღლებასთან ერთად ადამიანური კაპიტალის ფორმირებისთვის მზარდი დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფით. საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა პირობებში მიუხედავად იმისა, რომ ადამიანური კაპიტალის შექმნაში აქტიურად ჩართულია მოსახლეობის პირადი რესურსები, მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი წილი სახელმწიფო დაფინანსებაზე მოდის.

ცხრილი 3. სახელმწიფო ინვესტიციების დინამიკა ადამიანური კაპიტალის ფორმირების მხრივ საქართველოში. / მილიონი ლარი/

ინვესტიციების მიმართულება	2015	2020	2021	2021 წელი %%-ში 2015 წ-თან	2021 წელი %%-ში 2020წ.
განათლება	1074,0	1896,7	2181,7	203,1	115,0
ჯანდაცვა	905,9	1872,7	2596,7	286,6	138,7
სოციალური ღონისძიებები	2467,3	4703,1	4696,0	190,3	99,8

მონაცემთა წყარო. საქსტატი. სტატისტიკური წელიწდეული-2015 წ.,2020წ, 2021წ.

ცხრილის მონაცემებით ნათლად დასტურდება საქართველოში ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ზრდის მყარი ტენდენცია.

4 .ადამიანურ კაპიტალის შეფასების მიდგომები.ადამიანური კაპიტალის კონცეფციებში მეცნიერთა შორის ერთ-ერთ სადისკუსიო საკითხს წარმოადგეს მისი ღირებულების განსაზღვრა. ადამიანური კაპიტალი რთული ბიოლოგიური ფსიქოლოგიური და ეკონომიკური კატეგორიათა სინთეზია . რაც მასზე პირდაპირ ან კორელაციურად ზემოქმედებს. თანამედროვე პირობებში ადამიანური კაპიტალის შეფასების მიდგომებიდან გამოიყოფა:

- ადამიანური კაპიტალის შეფასება ნატურალურ მაჩვენებლებში;
- ადამიანური კაპიტალის შეფასება დანახარჯებით/ პირველად გამოიყენა გერმანელმა ეკონომისტმა და სტატისტიკოსმა ე. ენგელმა 1983 წელს. მან ადამინური კაპიტალის ღირებულებაში ჩართო ადამიანის დაბადების ღირებულება და ბავშვის აღზრდის ღირებულება/.
- შეფასება შემოსავლების მიხედით.
- შეფასება შედარებითი მიდგომით. ამ მიდგომით მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციები აფასებენ ცალკეულ ქვეყნებს დიფერეცირების კუთხით.

2018 წლიდან მსოფლიო ბანკი ადამიანური კაპიტალის შეფასების შედარებითი მიდგომის პრინციპებიდან გამომდინარეცალკეული ქვენების შესწავლის და დიფერენციაციის მიზნით გამოიყენებს ისეთ ფარდობით სიდიდეს როგორიცაა ადამიანური კაპიტალის ინდექსი. ინდექსის გამოთვლის კონკრეტული მიზანი ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემური მომენტების ანალიზსა და შეფასებაში მდგომარეობს. ამასთან ერთად ფასდება მათი სტაბილურ განვითარების მოდელზე გადასვლის მზადყოფნა.

ადამიანური კაპიტალის ინდექსი გამოითვლება ორი ცვლადი კომპონენტის ბაზაზე:

1. სიცოცხლიანობა-ჩვილმა ბავშვმა რომელიც დაიბადა დღეს უნდა იცოცხლოს ადამიანური კაპიტალის დაგროვების პერიოდამდე. რაც უფრო მაღალია 5 წლამდე ბავშვთა სიცოცხლის უნარიანობა და დაბალია სიკვდილიანობის რიცხვი მით უფრო მაღალია მათი გავლენა ინდექსის დონეზე.

2. ინფორმაცია 18 წლამდე ასაკის პიროვნების განათლებაზე სკოლაში სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობა კორექტირებული სწავლის შედეგების მიხედვით და განათლების ხარისხზე. შეფასება ხორციელდება ქვეყნის მონაცემთა ბაზაზე და მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების ტესტირებით. ადამიანურიკაპიტალის საერთო ინდექსი გამოითვლება ამ ცვლადების საშუალო გეომეტრიული სიდიდით და იცვლება 0-დან 1-მდე. რაც უფრო მაღალია ქვეყნის ინდექსის დონე მით უფრო მაღალია და

სრულყოფილი ადამიანის განვითარების დონე დაბადების მომენტიდან.ასეთ ქვეყნებში ადამიანისთვის მიღწევადია სრულყოფილი კვება, განათლების მიღება, ჯანმრთელობის დაცვა.

ცხრილი 4. ადამიანური კაპიტალის ინდექსის რეიტინგი საქართველოში მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგულ ფონზე

ქვეყნების ჯგუფები რეიტინგული დონის მიხედვით	ქვეყანა	2018	2020	ტენდენცია ზრდა+, კლება-
ადამიანური კაპიტალის უმაღლესი დონე >0,8				
მაქსიმალური დონე ჯგუფში	სინგაპური	0,88	0,88	
მინიმალური დონე ჯგუფში	კანადა	0,80	0,80	
ადამიანური კაპიტალის მაღალი დონე 0,70-0,799				
მაქსიმალური დონე ჯგუფში	ნიდერლანდები	0,80	0,79	-0,01
მინიმალური დონე ჯგუფში	აშშ	0,76	0,70	-0,06
ადამიანური კაპიტალის საშუალო დონე 0,55-0,699				
მაქსიმალური დონე ჯგუფში	ვიეტნამი	0,67	0,69	+0,02
მინიმალური დონე ჯგუფში	ტაჯიკეთი	0,53	0,50	-0,03
	საქართველო	0,61	0,57	-0,04
	სომხეთი	0,57	0,58	+0,01
	აზერბაიჯანი	0,60	0,58	-0,12

ადამიანური კაპიტალის დაბალი დონე <0,55				
მაქსიმალური დონე ჯგუფში	ეგვიპტე	0,49	0,49	
მინიმალური დონე ჯგუფში	ცენტრ. აფრიკის რესპ.	-	0,29	

წყარო. მსოფლიო ბანკის 2019., 2020 წლების მონაცემები.

ცხრილის მონაცემებით შეგვიძლია დავასკვნათ რომ:

- საქართველო და მისი უახლესი მეზობელი სახელმწიფოები ადამიანური კაპიტალის ინდექსით საშუალო დონის რეიტინგულ ჯგუფში არიან.
- ადამიანური კაპიტალის მხრივ წინა პერიოდთან შედარებით ზრდა აქვს სომხეთს, კლება აზერბაიჯანს და საქართველოს.
- საქართველოს ადამიანური კაპიტალის ინდექსი 0,57 ნიშნავს, რომ დაბადებული ბავშვი სრულყოფილი განათლების მიღების და ჯანმრთელობის შემთხვევაში ზრდასრულ ასაკში თავისი პოტენციალური შესაძლო პროდუქტიულობის 57%-ს მიაღწევს, ხოლო 47%-ს ვერ ითვისებს.
- ინვესტიციბის ზრდას ადამიანურ კაპიტალში უნდა შეესაბამებოდეს ხარისხობრივი მხარე.
- ადამიანური კაპიტალის ინდექსთან ერთად ბოლო წლებში ქვეყნებში ცხოვრების დონის და ხელსაყრელი პირობების შესაფასებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იყენებს ისეთ მაჩვენებელს როგორიცაა ადამიანური გავითარების ინდექსი. რეიტინგულად ამ მაჩვენებლის მიხედვით დღეისათვის შეფასებულია 189 ქვეყანა.

ადამიანური განვითარების ინდექსის გამოთვლას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი ცვლადი-ფაქტორი:

- სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა;
- ქვეყნის მოსახლეობის განათლება;
- შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე.

ეს მაჩვენებელი წარმოადგენს: ადამიანის შრომითი შესაძლებლობის პოტენციალის განსაზღვრის საშუალებას; არის ინტეგრალური მაჩვენებელი , რომელიც ახასიათებს ადამიანის შესაძლებლობას გასწიოს ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე; მიიღოს

სათანადო განათლება და მიაღწიოს ცხოვრების შესაფერის დონეს; ის არის გლობალური მასშტაბით ქვეყნებში მოსახლეობის კეთილდღეობის და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის საფუძველი.

ცხრილი 5. ადამინური განვითარების დონე საქართველოში მსოფლიოს ქვეყნების ფონზე.

ცხოვრების დონის რეიტინგული დონი ჯგუფი	ქვეყანა	ადგილი	ინდექსი	ცვლილება რეიტინგში წინა პერიოდთან შეწდადრებით
ძალზე მაღალი დონე >0,80				
მაქსიმალური დონე ჯგუფში	შვეიცარია	1	0,962	+0,006
მინიმალური დონე ჯგუფში	ტაილანდი	66	0,80	-0,02
	საქართველო	64	0,82	--
მაღალი დონე 0,699-0,799				
მაქსიმალური დონე ჯგუფში	ალბანეთი	67	0,796	+0,002
მინიმალური დონე ჯგუფში	ვიეტნამი	115	0,703	-0,007
	სომხეთი	85	0,759	+0,02
	აზერბაიჯანი	91	0,745	+0,011
საშუალო დონე 0,55-0,699				
მაქსიმალური დონე გგუფში	ფილიპინები	116	0,699	-0,011

მინიმალური დონე ჯგუფში	კოტდიუარი	137	0,55	-0,011
მინიმალური დონე <0,55				
მაქსიმალური დონე ჯგუფში	ტანზანია	160	0,549	+0,001
მინიმალური დონე ჯგუფში	სამხრეთ სუდანი	175	0,385	-0,001

წყარო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემები.

როგორც ცხრილიდან ჩანს:

- პიველ ადგილს მსოფლიოში იკავებს შვეიცარია. ის წარმოადგენს ევროპის ქვეყანას ძლიერი ეკონომიკით, მაღალი ცხოვრების დონით, საუკეთესო ჯანმრთელობის პირობების დაცვით და განათლების სისტემით.
- ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს მიღწევები ამ კუთხით და ადამიანური განვითარების უმაღლესი დონის ჯგუფში მოხვედრა.
- თუ ადამიანური კაპიტალი ინდექსით უმნიშვნელოდ ჩამოვრჩებით სომხეთს და აზერბაიჯანს. ადამიანური განვითარების ინდექსიში 0,4-ით და ერთი დონით მაღლა ვდგავართ მათზე.
- ადამიანური განვითარების ინდექსით ვუსწრებთ ისეთ ქვეყნებს როგორიცაა: უკრაინა/0,77/, ჩინეთი /0,77/. უზბეკეთი /077/. ყირგიზეთი/0,69/.
- ადამიანური კაპიტალის და ადამიანური განვითარების ინდექსებზე ქვეყანაში უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობა, ფინანსური კრიზისები, პანდემიები. ასეთი არახელსაყრელი ვითარებისას შეიმჩნევა უკუსვლა: სიცოცხლის ხანგრძლივობის, ჯანმრთელობის, მაღალკვალიფიციური განათლების მიღების მაჩვენებლების კუთხით.

საქართველომ ბოლო წლებში გარკვეულ საგრძნობ წარმატებებს მიაღწია ნეგატიური მოვლენების დაძლევაში, ადამიანური კაპიტალის ანუ ცხოვრების დონის და ხარისხის ამაღლებაში, რამაც უკვე შედეგი გამოიღო ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში. თუ 2015 წელს საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 31756 მილიონ ლარს, 2020 წლისთვის ის გაიზარდა 490266,7 მილიონ ლარამდე და 2021 წლისთვის კი შეადგინა 60 231 მილიონი ლარი.

დასკვნები.

1. ადამიანში ივესტიციების გახორციელბას და რაოდენობრივ ზრდასთან ერთად განათლბაზე, ჯანდაცვაზე, სპორტზე, კულტურულ და სოციალურ ღონისძიებებზე მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ ხარისხობრივ დონეზე.
2. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს უშუალოდ წარმოების და მომსახურების სფეროსთვის პროფესიული განათლების კადრების მომზადების გაფართოებას. საჭიროა შეიცვალოს განათლების სფეროს დღეს არსებული პროპორციები ინვესტიციების და რაოდენობრი მომზადება გადამზადების კუთხით. ქვეყანაში გატარდეს ღონისძიებები და შეიქმნას პირობები ცალკეული ინდივიდის - პირის შესაძლებრივი პოტენციალის მაქმალურად გამოვლენისა და გამოყენებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული სტატისტიკური კრებული 2015,2020,2022წ
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები 2015,2020,2022წ
3. საქართველო მსოფლიო ბანკის ადამიანური კაპიტალის ინდექსის განახლებული ანგარიში
4. The Global human Capital Report 2017.World Economic Forum.
5. Schultt.T.W. Investment in human Capital //The American Economic Review. 1961vol 51p.; 1-17